ხელშეკრულება № 5

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. თბილისი 01. 07. 2013 წელი

ერთის მხრივ შპს „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ ქალთა კონსულტაცია" (შემდგომში „მიმწოდებელი'), წარმოდგენელი მისი დირექტორის ნ. მეშველიანის სახით და მეორეს მხრივ, შპს "დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრი" (შემდგომში- „შემსყიდველი")წარმოდგენილი მისი დირექტორის ირაკლი აბაშიძის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია მიმწოდებლის მიერ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით გათვალისწინებულ დაზღვეულთა გინეკოლოგის კონსულტაცია გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, ერთ პირთან მოლაპარაკების წესით ანგარიშ-ფაქტურებში, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 შესყიდვის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში.

2.2 შესყიდვის ობიექტის ერთი ვიზიტის ღირებულება შეადგენს 15-00(თხუტმეტ) ლარს, შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

3.შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

3.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს კონკრეტული საქონლისათვის გათვალისწინებული მწარმოებლის მოთხოვნებს.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობები

4.1შემსყიდველს უფლება აქვს:
შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებტან.
4.2 შემსყიდველი ვალდებულია:
--- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათავლისწინებული პირობების შესაბამისად;
--- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.
4.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:
--მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათავლისწინებული პირობებით.
4.4 მიმწოდებელი ვალდებულია:
-დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

5. ფორს-მაჟორი

მხარეები არ არიან პასუხისმგებელი თავიანთი ვალდებულებების შეუსრულებლობაზე, თუ ეს გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები.
მხარე რომელსაც შეექმნა ფორს- მაჟორული სიტუაცია დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

6. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

6.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
6.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის სესაბამისად.

7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2013წლის 31 დეკემბრამდე.

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, ორივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

მიმწოდებელი:

შპს „აფხაზეთიდან იძულებით
გადააადგილებულ
ქალთა კონსულტაცია"

ქ. თბილისი კალოუბნის № 16
ს/კ 202373779
ა/ა GE85VT6600000001913408
ბ/კ UGEBGE220101668

სს ვითიბი ბანკი ჯორჯია ისნის ს/ც

დირექტორი: ნ.მეშველიანი

შემსყიდველი:

შპს"დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრი"

ქ. თბილისი კალოუბნის №16
ს/კ 206269045
ა/ა 1353408
ბ/კ 220101668

სს ვითიბი ბანკი ჯორჯია ისნის ს/ც

დირექტორი: ი. აბაშიძე